

დროის პერსპექტივისა და აკადემიური მოსწრების კავშირის კვლევა
სტუდენტებში

სოფიკო გვარამაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ჯაფარიძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არის ჩემი ორიგინალური ვერსია და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო გვარამაძე

26.06.19

აბსტრაქტი

ადამიანის დროისადმი დამოკიდებულება არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა კვლევის საგანი. იგი საფუძვლიანად შეისწავლა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ფილიპ ზიმბარდომ. დროის პერსპექტივა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აქტიურადაა შესწავლილი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა კოგნიტური განვითარება, აკადემიური მიღწევები, ჯანმრთელობა, ნერვული აშლილობები, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება. განათლების მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ დროის პერსპექტივა ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია მოზარდის აკადემიურ მოსწრებასა და მის პიროვნულ განვითარებაში. (Husman and Lens, 1999; Lewin, 1939) წარმოდგენილი კვლევის მიზანია, დაადგინოს გამოვლინდება თუ არა დროის პერსპექტივასა და აკადემიურ მოსწრებას შორის კავშირი და არის თუ არა განსხვავება გენდერული თვალსაზრისით. კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის 100 სტუდენტთან, 50 გოგო/50 ბიჭი. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ზიმბარდოს დროის პერსპექტივის კითხვარი (ZTPI), რომელიც ადგენს დროის შემდეგ ხუთ ორიენტაციას: წარსული ნეგატიური, წარსული პოზიტიური, აწმყო ჰედონისტური, აწმყო ფატალისტური და მომავალი პოზიტიური ორიენტაცია. (Zimbardo, Boyd, 1999). მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS 21 პროგრამაში. აღმოჩნდა, რომ დროის პერსპექტივის ზოგიერთი განზომილება კავშირშია სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასთან, (GPA)-სთან. ასევე გამოვლინდა გენდერული ნიშნით განსხვავებები, როგორც დროის პერსპექტივასთან, ისე აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებაში.

საძიებო სიტყვები: დროის პერსპექტივა, წარსული ნეგატიური ორიენტაცია, წარსული პოზიტიური ორიენტაცია, აწმყო ჰედონისტური ორიენტაცია, აწმყო ფატალისტური ორიენტაცია, მომავალი პოზიტიური ორიენტაცია.

Abstract

Attitude towards time has often been an interesting point for scientists. It was thoroughly studied by Stanford University professor Philip Zimbardo. Time perspective is actively studied within such essential issues as cognitive development, academic achievement, health, nervous derangement or drug addiction. Researchers of education believe that time perspective is one of the leading factors in young people's academic achievement and personal development (Husman and Lens, 1999; Lewin, 1939). The aim of the present study is to define the connection between time perspective and academic achievement and whether there is a difference in terms of gender. The research was held among 100 bachelor students at Ilia State University (50 girls/50 boys). The tool of measurement was Time Perspective Questionnaire (ZTPI), which determines the following five time orientations: Past negative, past positive, present hedonistic, present fatalistic and future positive orientations. Research results were analyzed in the program - SPSS 21. It was found out that some of the dimensions of time perspective is correlated with students' academic achievement (GPA). Besides there were differences between gender and time perspective as well as with academic achievement.

Key words: time perspective, past negative orientation, past positive orientation, present hedonistic orientation, present fatalistic orientation, future positive orientation.